



თვითმმართველი თემი  
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 13

„29“ თებერვალი 2016 წელი

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარეზე პრემიის გაცემის შესახებ

„თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს და გამგეობის თანამდებობის პირების და საჯარო მოხელეების პრემიის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 დეკემბრის №58 დადგენილებით დამტკიცებული წესის 5-ე მუხლის 5-ე პუნქტის შესაბამისად,

1. თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს - პაატა გიორგობიანს მიეცეს კვარტალური პრემია ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით.
2. განკარგულების შესრულება უზრუნველყოს გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო და სოციალურ საკითხთა სამსახურმა.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (ქ. თელავი, დ. აღმაშენებლის გამზირი №41).

საკრებულოს თავმჯდომარე



*Handwritten signature*

პაატა გიორგობიანი